# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №20
## 2013 წლის 28 ივლისი

## ქ. სიღნაღი

## ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილების №1 დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **არჩილ მჭედლიშვილი**

**დანართი №1**

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი

### თავი I

### სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

| **დასახელება** | | | **2013 წლის გეგმა** | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **სულ** | **მათ შორის** | |
| | **2011 წლის ფაქტი** | **2012 წლის ფაქტი** | | **სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **საკუთარი შემოსავლები** |
| შემოსავლები | 5 962,9 | 7 686,1 | 6 066.7 | 1 202.7 | 4 864.0 |
| გადასახადები | 2 301,7 | 2 047,3 | 1 620.0 | | 1 620.0 |
| გრანტები | 3 412,6 | 5 214,6 | 3 970.2 | 1 202.7 | 2 767.5 |
| სხვა შემოსავლები | 248,5 | 424,3 | 476.5 | | 476.5 |
| ხარჯები | 4 084,8 | 6 915,7 | 6 245,4 | 1 190.7 | 5 054.8 |
| შრომის ანაზღაურება | 907,6 | 1 228,9 | 1 519.8 | | 1 519.8 |
| საქონელი და მომსახურება | 1 131,0 | 1 547,2 | 1 521.2 | | 1 521.2 |
| სუბსიდიები | 993,0 | 1 093,0 | 1 091.9 | | 1 091.9 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | | 930,0 | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 383,2 | 522,9 | 492.0 | | 492.0 |
| სხვა ხარჯები | 670,0 | 1 593,8 | 1 619.9 | 1 190.7 | 429.2 |
| საოპერაციო სალდო | 1 878,2 | 770,4 | -178.1 | 12.0 | -190.2 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 552,5 | 1 565,9 | 552.4 | 111.7 | 440.7 |
| ზრდა | 948,3 | 1 797,6 | 672.4 | 111.7 | 560.7 |
| კლება | 395,8 | 231,8 | 120.0 | | 120.0 |
| მთლიანი სალდო | 1 325,6 | -795,5 | -731,1 | -99.6 | -631,5 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1 306,4 | -813,6 | -749,3 | -99.6 | -649.7 |
| ზრდა | 1 306,4 | 14,4 | | | |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1 306,4 | 14,4 | | | |
| კლება | | 828,0 | 749,3 | 99.6 | 649.7 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | | 749,3 | 99.6 | 649.7 |
| სესხები | | 7,8 | | | |
| კლება | 19,2 | 18,1 | | | |
| საშინაო | 19,2 | 18,1 | 18.2 | | 18.2 |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |

## მუხლი 2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6066,7 ათასი ლარით

| **დასახელება** | **2011 წლის ფაქტი** | **2012 წლის ფაქტი** | **2013 წლის გეგმა** | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **სულ** | **სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **საკუთარი შემოსავლები** |
| შემოსულობები | 6 358,7 | 7 925,7 | 6 186.7 | 1 202.7 | 4 984.0 |
| შემოსავლები | 5 962,9 | 7 686,1 | 6 066.7 | 1 202.7 | 4 864.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 395,8 | 231,8 | 120.0 | | 120.0 |
| ფინანსური აქტივების კლება | | 7,8 | | | |

## მუხლი 3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1620,0 ათასი ლარით

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 2 301,7 | 2 047,3 | 1 620,0 | | 1 620,0 |
| ქონების გადასახადი | 2 301,7 | 2 047,3 | 1 620,0 | | 1 620,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 168,2 | 168,2 | 180,0 | | 180,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 6,1 | 9,4 | 10,0 | | 10,0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1,0 | 3,6 | 10,0 | | 10,0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 5,1 | 5,8 | | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1 981,2 | 1 841,1 | 1 400,0 | | 1 400,0 |
| ფიზიკური პირებიდან | 1 740,6 | 1 743,7 | 1 300,0 | | 1 300,0 |
| იურიდიული პირებიდან | 240,7 | 97,4 | 100,0 | | 100,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 146,2 | 28,6 | 30,0 | | 30,0 |
| ფიზიკური პირებიდან | 21,3 | 10,7 | 10,0 | | 10,0 |
| იურიდიული პირებიდან | 124,9 | 17,9 | 20,0 | | 20,0 |

## მუხლი 4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3970,2 ათასი ლარით

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 3 412,6 | 5 214,6 | 3 970.2 | 1 202.7 | 2 767.5 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 3 412,6 | 5 196,8 | 3 970.2 | 1 202.7 | 2 767.5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 2 133,1 | 3 537,0 | 2 767.5 | | 2 767.5 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 2 013,1 | 3 197,0 | 2 627.5 | | 2 627.5 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 120,0 | 140,0 | 140.0 | | 140.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1 279,5 | 1 659,8 | 1 202.7 | 1 202.7 | |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 710,0 | 830,0 | 491.5 | 491.5 | |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება | 630,0 | 713,8 | | 491.5 | |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სხვა თანხები | 80,0 | | | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 529,5 | 713,8 | 711.2 | 711.2 | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | 40,0 | 116,0 | | | |

## მუხლი 5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 476,5 ათასი ლარით

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 248,5 | 424,3 | 476,5 | | 476,5 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 20,4 | 74,2 | 93,0 | | 93,0 |
| პროცენტები | | 63,8 | 80,0 | | 80,0 |
| რენტა | 20,4 | 10,4 | 13,0 | | 13,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 19,0 | 10,3 | 10,0 | | 10,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | | 0,1 | 2,0 | | 2,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 1,4 | | 1,0 | | 1,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142,7 | 263,9 | 286,0 | | 286,0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 142,7 | 262,1 | 286,0 | | 286,0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 5,9 | 3,1 | 15,0 | | 15,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,8 | 1,0 | 1,0 | | 1,0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 111,0 | 234,0 | 240,0 | | 240,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 23,3 | 23,3 | 30,0 | | 30,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 1,7 | 0,7 | | | |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 75,4 | 83,1 | 95,5 | | 95,5 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 10,0 | 3,2 | 2,0 | | 2,0 |

**მუხლი 6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | სულ | მათ შორის | |
| | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 248,6 | 2 612.2 | 2 027.3 | 35.1 | 1 992.3 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 228,4 | 1 656,2 | 1 982.3 | | 1 982.3 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 208,4 | 1 631,2 | 1 956.5 | | 1 956.5 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 20,0 | 25,0 | 25.8 | | 25.8 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 3,8 | 8,0 | 10.0 | | 10.0 |
| | საერთო დანიშნულების სხვა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 70133 | მომსახურება | 3,8 | 8,0 | 10.0 | | 10.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | | | 35.1 | 35.1 | |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | 930,0 | | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 16,5 | 18,0 | | | |
| 702 | თავდაცვა | 78,1 | 78,4 | 90.1 | | 90.1 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 179,0 | 275,9 | 314.3 | | 314.3 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 25,1 | 25,3 | | | |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 154,0 | 250,6 | 314.3 | | 314.3 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 466,8 | 1 393,1 | 1 309.9 | 1 064.6 | 245.3 |
| 7045 | ტრანსპორტი | 466,8 | 1 393,1 | 1 309.9 | 1 064.6 | 245.3 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 461,3 | 1 239,7 | 1 294.7 | 1 064.6 | 230.1 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 5,5 | 153,4 | 15.2 | | 15.2 |
| 705 | გარემოს დაცვა | 284,5 | 431,9 | 331.0 | 4.3 | 326.7 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 273,2 | 295,8 | 258.5 | 0.9 | 257.6 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 11,3 | 136,1 | 72.5 | 3.4 | 69.1 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1 209,7 | 2 075,1 | 996.7 | 185.4 | 811.2 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 102,7 | 306,4 | 213.1 | 74.1 | 139.0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 3,5 | 77,0 | | | |
| 7063 | წყალმომარაგება | 842,9 | 1 121,1 | 361.7 | 33.6 | 328.1 |
| 7064 | გარე განათება | 180,8 | 486,9 | 245.1 | 4.9 | 240.2 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 79,7 | 83,7 | 176.8 | 72.9 | 103.9 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 81,2 | 63,7 | 50.0 | | 50.0 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 31,3 | 13,7 | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | 31,3 | 13,7 | | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 49,9 | 50,0 | 50.0 | | 50.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 575,0 | 646,3 | 612.3 | 0.6 | 611.7 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 0,8 | | | | |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 564,5 | 619,6 | 596.5 | 0.6 | 595.9 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 2,6 | 1,6 | 3.2 | | 3.2 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 7,1 | 25,1 | 12.6 | | 12.6 |
| 709 | განათლება | 539,3 | 668,5 | 747.5 | 12.3 | 735.2 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 490,5 | 619,8 | 701.5 | 12.3 | 689.2 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 8,3 | 6,3 | | | |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 8,3 | 6,3 | | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | 40,6 | 42,4 | 46.0 | | 46.0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 370,7 | 468,4 | 438.0 | | 438.0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 46,8 | 107,5 | 110.0 | | 110.0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 46,8 | 104,5 | 100.0 | | 100.0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | 3,0 | 10.0 | | 10.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 30,6 | 35,9 | 43.0 | | 43.0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 76,2 | 79,3 | 98.0 | | 98.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 217,0 | 245,7 | 187.0 | | 187.0 |
| | სულ | 5 033,1 | 8 713,3 | 6 917.2 | 1 302.3 | 5 614.9 |

**მუხლი 7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**
განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 552,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
1. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 672,4 ლარით.
2. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 120.0 ლარით.

**მუხლი 8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -731,1 ათასი ლარის ოდენობით

**მუხლი 9. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**
1. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 18,2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:
2. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 18,2 ათასი ლარის ოდენობით

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განისაზღვროს სარეზერვო ფონდი 25,8 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**
1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 140.0 ათასი ლარი მიიმართოს;
ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 50.0 ათასი ლარი;
ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 90,0 ათასი ლარი;
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

## თავი II
## სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

**მუხლი 12. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**
განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები თანდართული რედაქციით

| ორგანიზაციული კოდი | | | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | სულ | მათ შორის | |
| | | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| | | სიღნაღის მუნიციპალიტეტი | 5 052,3 | 8 731,4 | 6 936,0 | 1 302.3 | 5 633.7 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 231 | 222 | | 222 |
| | | ხარჯები | 4 084,8 | 6 915,7 | 6 244.8 | 1 190.7 | 5 054.2 |
| | | შრომის ანაზღაურება | 907,6 | 1 228,9 | 1 519.8 | | 1 519.8 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 948,3 | 1 797,6 | 672.4 | 111.7 | 560.7 |
| | | ვალდებულებების კლება | 19,2 | 18,1 | 18.2 | | 18.2 |
| | 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების | 1 267,8 | 2 630,3 | 2 045.5 | 35.1 | 2 010.5 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაფინანსება | | | | | |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 177,0 | 166.0 | | 166.0 |
| | | ხარჯები | 1 207,1 | 2 564,2 | 1 977.5 | 35.1 | 1 942.5 |
| | | შრომის ანაზღაურება | 736,7 | 983,3 | 1 238.5 | | 1 238.5 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 41,5 | 48,0 | 49.8 | | 49.8 |
| | | ვალდებულებების კლება | 19,2 | 18,1 | 18.2 | | 18.2 |
| | 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 334,0 | 400,7 | 508.4 | | 508.4 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 34,0 | 33.0 | | 33.0 |
| | | ხარჯები | 319,0 | 400,4 | 492.6 | | 492.6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 184,1 | 231,7 | 320.0 | | 320.0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15,0 | 0,3 | 15.8 | | 15.8 |
| | 01 02 | მუნიციპალიტეტის გამგეობა | 874,4 | 1 230,5 | 1 448.1 | | 1 448.1 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 143,0 | 133.0 | | 133.0 |
| | | ხარჯები | 847,9 | 1 182,8 | 1 414.1 | | 1 414.1 |
| | | შრომის ანაზღაურება | 552,7 | 751,5 | 918.5 | | 918.5 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,5 | 47,7 | 34.0 | | 34.0 |
| | 01 03 | სარეზერვო ფონდი | 5,0 | 10,0 | 25.8 | | 25.8 |
| | | ხარჯები | 5,0 | 10,0 | 25.8 | | 25.8 |
| | 01 04 | შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები | 3,8 | 8,0 | 10.0 | | 10.0 |
| | | ხარჯები | 3,8 | 8,0 | 10.0 | | 10.0 |
| | 01 05 | რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შევსება | | 930,0 | | | |
| | | ხარჯები | | 930,0 | | | |
| | 01 06 | წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 19,2 | 18,1 | 18.2 | | 18.2 |
| | | ვალდებულებების კლება | 19,2 | 18,1 | 18.2 | | 18.2 |
| | 01 07 | დასაბრუნებელი თანხები | | | 35.1 | 35.1 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხარჯები | | | 35.1 | 35.1 | |
| | 01 08 | მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი | 16,5 | 18,0 | | | |
| | | ხარჯები | 16,5 | 18,0 | | | |
| | 01 09 | რეგიონული განვითარების ფონდი | 15,0 | 15,0 | | | |
| | | ხარჯები | 15,0 | 15,0 | | | |
| | 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 257,1 | 354,3 | 404.4 | | 404.4 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 54,0 | 56.0 | | 56.0 |
| | | ხარჯები | 252,1 | 354,3 | 395.2 | | 395.2 |
| | | შრომის ანაზღაურება | 170,9 | 245,7 | 281.3 | | 281.3 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,0 | | 9.2 | | 9.2 |
| | 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა | 154,0 | 250,6 | 314.3 | | 314.3 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 44,0 | 44.0 | | 44.0 |
| | | ხარჯები | 154,0 | 250,6 | 305.1 | | 305.1 |
| | | შრომის ანაზღაურება | 115,1 | 182,0 | 209.2 | | 209.2 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 9.2 | | 9.2 |
| | 02 02 | საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა | 25,1 | 25,3 | | | |
| | | ხარჯები | 25,1 | 25,3 | | | |
| | 02 03 | ქვეყნის თვდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 78,1 | 78,4 | 90.1 | | 90.1 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 10,0 | 12.0 | | 12.0 |
| | | ხარჯები | 73,1 | 78,4 | 90.1 | | 90.1 |
| | | შრომის ანაზღაურება | 55,9 | 63,7 | 72.1 | | 72.1 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,0 | | | | |
| | 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 1 961,1 | 3 900,0 | 2 638,2 | 1 254.3 | 1 383.9 |
| | | ხარჯები | 1 085,7 | 2 337,8 | 2 276.3 | 1 155.6 | 1 121,3 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 875,4 | 1 562,2 | 361.3 | 98.7 | 262.5 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 466,8 | 1 393,1 | 598.7 | 353.4 | 245.3 |
| | | ხარჯები | 380,9 | 1 079,9 | 598.7 | 353.4 | 245.3 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 86,0 | 313,2 | | | |
| | 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 1 414,5 | 2 423,3 | 1 269.5 | 189.7 | 1 079.8 |
| | | ხარჯები | 625,1 | 1 174,3 | 908.2 | 91.0 | 817.2 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 789,5 | 1 249,1 | 361.3 | 98.7 | 262.5 |
| | 03 02 01 | ბინათმშენებლობის ღონისძიებები | 102,7 | 306,4 | 213.1 | 74.1 | 139.0 |
| | | ხარჯები | 102,7 | 306,4 | 192.1 | 74.1 | 118.0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 21.0 | | 21.0 |
| | 03 02 02 | წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 842,9 | 1 121,1 | 361.7 | 33.6 | 328.1 |
| | | ხარჯები | 74,3 | 160,0 | 150.6 | | 150.6 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 768,6 | 961,1 | 211.1 | 33.6 | 177.5 |
| | 03 02 03 | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 180,8 | 486,9 | 245.1 | 4.9 | 240.2 |
| | | ხარჯები | 160,0 | 199,0 | 195.8 | | 195.8 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 20,8 | 288,0 | 49.3 | 4.9 | 44.4 |
| | 03 02 04 | გარემოს დაცვითი ღონისძიებები | 284,5 | 431,9 | 331.0 | 4.3 | 326.7 |
| | | ხარჯები | 284,5 | 431,9 | 331.0 | 4.3 | 326.7 |
| | 03 02 05 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 3,5 | 77,0 | | | |
| | | ხარჯები | 3,5 | 77,0 | | | |
| | 03 02 06 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები | | | 118.6 | 72.9 | 45.7 |
| | | ხარჯები | | | 38.7 | 12.6 | 26.1 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 79.9 | 60.3 | 19.6 |
| | 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 79,7 | 83,7 | 58.2 | | 58.2 |
| | | ხარჯები | 79,7 | 83,7 | 58.2 | | 58.2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 03 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | | | 711.2 | 711.2 | |
| | | ხარჯები | | | 711.2 | 711.2 | |
| | 04 00 | განათლება | 539,3 | 668,5 | 747.5 | 12.3 | 735.2 |
| | | ხარჯები | 513,0 | 544,2 | 546.0 | | 546.0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,4 | 124,3 | 201.5 | 12.3 | 189.2 |
| | 04 01 | სკოლამდელი განათლება | 490,5 | 619,8 | 701.5 | 12.3 | 689.2 |
| | | ხარჯები | 464,1 | 495,5 | 500.0 | | 500.0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,4 | 124,3 | 201.5 | 12.3 | 189.2 |
| | 04 02 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 8,3 | 6,3 | | | |
| | | ხარჯები | 8,3 | 6,3 | | | |
| | 04 03 | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 40,6 | 42,4 | 46.0 | | 46.0 |
| | | ხარჯები | 40,6 | 42,4 | 46.0 | | 46.0 |
| | 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 575,0 | 646,3 | 612.3 | 0.6 | 611.7 |
| | | ხარჯები | 575,0 | 583,2 | 561.7 | | 561.7 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 63,2 | 50.6 | 0.6 | 50.0 |
| | 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 0,8 | | | | |
| | | ხარჯები | 0,8 | | | | |
| | 05 01 02 | სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა | 0,8 | | | | |
| | | ხარჯები | 0,8 | | | | |
| | 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 564,5 | 619,6 | 596.5 | 0.6 | 595.9 |
| | | ხარჯები | 564,5 | 556,5 | 545.9 | | 545.9 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 63,2 | 50.6 | 0.6 | 50.0 |
| | 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 542,5 | 619,6 | 596.5 | 0.6 | 595.9 |
| | | ხარჯები | 542,5 | 556,5 | 545.9 | | 545.9 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 63,2 | 50.6 | 0.6 | 50.0 |
| | 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 22,0 | | | | |
| | | ხარჯები | 22,0 | | | | |
| | 05 03 | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 7,1 | 25,0 | 7.6 | | 7.6 |
| | | ხარჯები | 7,1 | 25,0 | 7.6 | | 7.6 |
| | 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | | 0,1 | 5.0 | | 5.0 |
| | | ხარჯები | | 0,1 | 5.0 | | 5.0 |
| | 05 05 | საინფორმაციო ცენტრი | 2,6 | 1,6 | 3.2 | | 3.2 |
| | | ხარჯები | 2,6 | 1,6 | 3.2 | | 3.2 |
| | 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 451,9 | 532,1 | 488.0 | | 488.0 |
| | | ხარჯები | 451,9 | 532,1 | 488.0 | | 488.0 |
| | 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | 81,2 | 63,7 | 50.0 | | 50.0 |
| | | ხარჯები | 81,2 | 63,7 | 50.0 | | 50.0 |
| | 06 02 | სოციალური პროგრამები | 370,7 | 468,4 | 438.0 | | 438.0 |
| | | ხარჯები | 370,7 | 468,4 | 438.0 | | 438.0 |
| | 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 46,8 | 107,5 | 110.0 | | 110.0 |
| | | ხარჯები | 46,8 | 107,5 | 110.0 | | 110.0 |
| | 06 02 02 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 214,5 | 243,2 | 200.0 | | 200.0 |
| | | ხარჯები | 214,5 | 243,2 | 200.0 | | 200.0 |
| | 06 02 03 | უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება | 73,5 | 77,4 | 88.0 | | 88.0 |
| | | ხარჯები | 73,5 | 77,4 | 88.0 | | 88.0 |
| | 06 02 04 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები | 5,3 | 5,8 | 5.0 | | 5.0 |
| | | ხარჯები | 5,3 | 5,8 | 5.0 | | 5.0 |
| | | ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 06 02 05 | დაცვა | 30,6 | 34,5 | 35.0 | | 35.0 |
| | | ხარჯები | 30,6 | 34,5 | 35.0 | | 35.0 |

## თავი III
## სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგი და ინდიკატორები.

**მუხლი 13. თავდაცვა , საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00}**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ასიგნებები 404,4 ათასი ლარით.

1. **საგანგებო სიტუაციების მართვა**-----02 01;

ა) მიზანი:

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით მაშველთა ოპერატიული მოქმედებისთვის ხელშეწყობა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის მზადყოფნა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება კომუნალური ხარჯების და ხელფასების ანაზღაურებაში.

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტის სამაშველო საქმიანობის გაუმჯობესება, მაშველთა შეუფერხებელი, ოპერატიული გადაადგილება.

დ) შეფასების ინდიკატორი:

სახნძრო შემთხვევებით გამოწვეული ზარალის შემცირებული რაოდენობა.

2. . **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება**--------02 03.

ა) მიზანი:

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხელშეწყობა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სიღნაღის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

გ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

დ)

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

საქართველოს სამხედრო ძალებში ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის მობილიზება.

ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული თვითშეგნების დონის ამაღლება.

**მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03-00)**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ასიგნებები ---2638,2 ათასი ლარის ოდენობით.

1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ამავდროულად აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტების ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალურ მეურნეობაში არსებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მისი იერსახის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების ღონისძიებები. განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის

ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.
2. **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია_03 01**;
ა) **გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები 03 01 01**;
ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული უკვე რეაბილიტირებული გზების მოვლა შენახვა, კვლავ გაგრძელდება სოფლის შიდა გზების მოხრეშვა, მოასფალტება. დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია.
ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
ა.დ) შეფასების ინდიკატორი:
რეაბილიტირებული გზების ზრდა;

გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება.
ბ) **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები----03 01 02**.
ბ.ა) მიზანი:
მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მგზავრთა გადაყვანისას მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სოფ. ქვ. ბოდბიდან ქალაქ წნორის მიმართულებით მარშრუტის მომსახურების თანადაფინანსება. აღნიშნული მომსახურებით უშუალოდ ისარგებლებენ სოფლების: ქვ. ბოდბის, ზემო ბოდბის, ბოდბისხევის და ქალაქ წნორის მოსახლეობა.
ბ.გ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:**
ადგილობრივი მარშრუტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობა;
ბ.დ) **შეფასების ინდიკატორი:**
მუნიციპალური ტრანსპორტით გადაყვანილი კმაყოფილ მგზავრთა რაოდენობა გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება.
3. **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია---03 02**
პროგრამის ფარგლებში განხორცილედება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების არსებულის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია და ახალი სისტემების მშენებლობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.
ა) **წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია----03 02 02**;
ა.ა) მიზანი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის და ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა;

ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;

მუნიციპალიტეტში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.
ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებები. მიმდინარე წელს თითქმის მთლიანად დასრულდება ახალი წყლის მილებით წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახალი ჭაბურღილების მოწყობა, არსებულ ჭაბურღილებზე ტუმბოს მოწყობის სამუშაოები, კერძოდ სოფელ ანაგაში სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება;

მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები;
ა.დ) შეფასების ინდიკატორი:
რეაბილიტირებული წყლის სისტემების რაოდენობა

სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.
ბ) **გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია-----**03 02 03;
ბ.ა) მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ამ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების არსებული ქსელების ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე ახალი წერტილების მოწყობა.
ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
განათებული ქუჩების რაოდენობა, განათების ინტენსივობა, განათებულ ქუჩებში უსაფრთხო გადაადგილება, კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.
ბ.დ) შეფასების ინდიკატორი:
მუნიციპალიტეტის ქალაქებისა და სოფლების განათებული ქუჩების ზრდა.
**გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები--------03 02 04**.
გ.ა) საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები---03 02 04 01;
გ.ა.ა) მიზანი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება;
გ.ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-მოწესრიგების სამუშაოები.
გ.ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
გაუმჯობესებული სანიტარული და ეკოლოგიური პირობები.
გ.ა.დ) შეფასების ინდიკატორი:
საცხოვრებელი კორპუსების და მათი მიმდებარე ტერიტორიების ჩამდინარე წყლების მართვა.
**გ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები-------**03 02 04 02.
გ.ბ.ა) მიზანი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;
გ.ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ქვეპროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქების და სოფლების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ადმინისტრაციული შენობის დაცვა-დასუფთავების ღონისძიებები.
გ.ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;
გ.ბ.დ) შეფასების ინდიკატორი:
ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.
**4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები----**03 03
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, შადრევანის და დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას.
ა) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:
კეთილმოწყობილი გარემო.
ბ) საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები
მოწესრიგებული შადრევნები, მოვლილი გამწვანება სკვერებსა თუ სხვადასხვა რეკრეაციულ ზონებში;
**5. განათლება---პროგრამული კოდი 04 00**
განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის განათლების ასიგნებები 747.5 ათასი ლარის ოდენობით.
**ა) სკოლამდელი განათლება---04 01;**
ა.ა) მიზანი:
სკოლამდელი განათლების ღიაობა და ხელმისაწვდომობა ყველასათვის.

მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი გარემოს ჩამოყალიბება.
ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა ოჯახების თანადაფინანსება,

მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობის ხელშეწყობა.
ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;

საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდა;
ა.დ) შეფასების ინდიკატორი:
საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესების მიმართ პოზიტიურად განწყობილ მშობელთა რაოდენობა.
ბ) **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი----**04 03.
ბ.ა) მიზანი:
თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;

თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის მიერ საკუთარი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენა;

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და თანაბარ კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა,
ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებად სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული 200 მოსწავლისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფას.

დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების ხელფასების დაფინანსებას და ხელშეწყობას;
ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
გამოვლინდებიან ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები;

მოსწავლეების მოტივაციის დონის ამაღლება;
ბ.დ) შეფასების ინდიკატორი:
სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულ კონკურსებში წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

6. **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდების ხელშეწყობა და სპორტი----პროგრამული კოდი -05 00**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების კვლდაკვალ აუცილებელია როგორც სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვის და ღირსეული გაგრძელების ღონისძიებების ხელშეწყობა. რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ადგილობრივი ფოლკლორის დაცვას, აღორძინებას და ღირსეულ გაგრძელებას.
ა) **ა(ა)იპ „თ. მათურელის სახ. ხელოვნების კოლეჯი“ პროგრამული კოდი** -05 02 01 01;
ა.ა) მიზანი:
პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის, სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე და ა. შ..
ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოსწავლე ახალგაზრდებისთვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების დაფინანსებას და ხელშეწყობას.
ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა და მათი აქტიური ჩართვა შესაბამისი განათლების მისაღებად.
ა.დ) შეფასების ინდიკატორი:
წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.
ბ) **ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“ პროგრამული კოდი**-05 02 01 02;
ბ.ა) მიზანი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების განვითარება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება - პოპულარიზაცია;
ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებ ის ხელშეწყობა;

წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით;

ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა და მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება ;

საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარება;

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის ხელშეწყობა;

არსებული ექსპონატების დაცვა;

მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.
ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მკითხველის დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა;

მუზეუმების პოპულარიზაცია.
ბ.დ) შეფასების ინდიკატორი:
ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა;

საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა;

მუზეუმებში მოწყობილი გამოფენების და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა.
გ) **ა(ა)ი პ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და სასპორტო სკოლების გაერთიანება“ პროგრამული კოდი**---05 02 01 03;
გ.ა) მიზანი:
განსაკუთრებული წარმატებების მქონე მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება;
გ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო და სასპორტო სკოლების გაერთიანებაში შემავალი 5 სამუსიკო სკოლის 400 მოსწავლის და ერთი კომპლექსური სასპორტო სკოლის 160 მოსწავლის შესაბამისი განათლების მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების დაფინანსებას, სხვადასხვა სპორტული სექციების და კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას. მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა ფესტივალში მონაწილეობის ხელშეწყობას და დაფინანსებას.

გ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

სპორტსმენთა წარმატებული შედეგები რეგიონალურ და რესპუბლიკურ ტურნირებში.
გ.დ) შეფასების ინდიკატორი:
სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსებში წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობა.
დ)
**ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი** 05 02 01 04;

დ.ა) მიზანი:
თეატრისა და კულტურის პოპულარიზაცია.
დ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის ,,მრავალჟამიერის“ ბავშვთა ხალხური სიმღერების ანსამბლების, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლებისა და წრეების, ასევე კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან

არსებული თეატრისთვის სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით მოეწყობა სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, ქართული ფოლკლორის საღამოები.
დ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის ,,მრავალჟამიერის" ბავშვთა ხალხური სიმღერების ანსამბლების, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლებისა და წრეების სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ქვეყნის გარეთ.
დ.დ) შეფასების ინდიკატორი:
ახალი სპექტაკლების რაოდენობის ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებელი;

მუნიციპალიტეტის ხელოვანთა მიღწევები.
ე) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა----05 03.
ე.ა) მიზანი:
ახალგაზრდა თაობაში შრომის, მართვის უნარ - ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა;
ე.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრინინგ-სემინარები, ფორუმები, სესიები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა);

შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა);

ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა;

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სპორტის ექსტრემალური სახეობების კვირეული, სეზონურად სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში შეღავათების დაწესება და სხვა);

სხვა ღონისძიებები.
ე.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
ხარისხობრივად და თვისობრივად მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტები;

ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა;

ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა;

კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები.
ე.დ) შეფასების ინდიკატორი:
ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

წარმატებული და ინიციატივიანი ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა ;

საზოგადოებრივად აქტიური, ინფორმირებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდობა.
7. **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები**
**(პროგრამული კოდი---------06 00)**

ა) ჯანდაცვის პროგრამები--------06 01
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ერთერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება----06 01 02.
ა.ა.ა) მიზანი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება.

ა.ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით.
ა.ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:
მოსახლეობის სამედიცინო პროფილაქტიკური განათლების დონის გაზრდა;

დაავადებების პრევენცია;
ა.ა.დ) საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები
დაავადებების შემცირებული მაჩვენებელი.
ბ) **სოციალური პროგრამების დაფინანსება**----06 02
პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად ასევე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირთა ზრუნვა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები. მოსახლეობაში იოდის და სხვა მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის და შაქრიანი დიაბეტის ადრეული გამოვლენის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს აღნიშნული დავადებების რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებში დაავადების დროულ გამოვლენას.
ბ.ა) **ავადმყოფთა სოციალური დაცვა**--------06 02 01;
ბ.ა.ა) მიზანი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ავადმყოფი მოქალაქეების და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
ბ.ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ამ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ავადმყოფი მოქალაქეების და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ასევე თითოეულ ავადმყოფზე ოპერაციების ხარჯების დაფინანსება 1000 ლარამდე.
ბ.ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მედიკამენტებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა.
ბ.ა.დ) შეფასების ინდიკატორი:
კმაყოფილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა.
ბ.ბ) **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება 06 02 02**;
ბ.ბ.ა) მიზანი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
ბ.ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ამ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მარტოხელა დედების სოციალური დაცვა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარება, ტერიტორიულ მთლიანობისთვის მებრძოლ მეომართა ერთჯერადი დახმარება, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები;
ბ.ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
ბენეფიციართა არსებითი საჭიროებითა და საარსებოდ აუცილებელი სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა.
ბ.ბ.დ) შეფასების ინდიკატორი:
არსებითი საჭიროებითა და საარსებოდ აუცილებელი სოციალური სერვისებით უზრუნველყოფილთა რაოდენობა.
ბ.გ) **უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება-06 02 03**;
ბ.გ.ა) მიზანი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და სხვა უწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტება და მათი გამოკვება.
ბ.გ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფას.
ბ.გ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები;
ბ.გ.დ) შეფასების ინდიკატორი:
ბენეფიციართა სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება.
ბ.დ) **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები----06 02 04**;
ბ.დ.ა) განსახორციელებელი ღონისძიებები:
ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას. თითოეული გარდაცვლილის ოჯახზე 250 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიგება.
ბ.დ.ბ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მოქალაქეთა დახმარება, ყურადღებისა და თანადგომის გამოხატვა.
ბ.ე) **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა----06 02 05**.
ბ.ე.ა) განსახორციელებელი ღონისძიებები:
გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე დასახმარებლად თითოეულზე 100 ლარის ოდენობით.
ბ.ე.ბ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
ბ.ე.გ) შეფასების ინდიკატორი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში შობადობის ამაღლება.
ბ.ვ) **სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტების დახმარება**.
ბ.ვ.ა) განსახორციელებელი ღონისძიებები:
გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტების დასახმარებლად თითოეულზე სწავლის საფასურის 50%-ის ოდენობით.
ბ.ვ.ბ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები წარჩინებული სტუდენტების ხელშეწყობა.
ბ.ვ.გ) შეფასების ინდიკატორი:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტების განათლების დონის ამაღლება.